

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 42

ქ.თბილისი

2021 წლის 21 აპრილი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2021 წლის 21 აპრილს, დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, ლაშა თავართქილაძე, ლაშა მაჭავარიანი, აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს მატჩის მეთვალყურეთა ზედამხედველის მ.კოროშინაძის მომართვა, მატჩის მეთვალყურის გ. ქერაშვილის მატჩის ოქმი, სრკ-ს მონაცემთა დამუშავებისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსის ლუკა გიგინეიშვილის განცხადება, ამა წლის 18 აპრილს, დიდი 10-ს მატჩზე, რუსთავის „ხარები“-სა და გორის „ჯიქი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. გორის „ჯიქი“-ს შემადგენლობაში ითამაშა გიორგი ჭკუასელიძემ (მატჩის ოქმში №12), რომელიც არ არის გუნდის საშეჯიბრო განაცხადში.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.6 პუნქტით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. გორის „ჯიქი“ დაჯარიმდეს 2000(ორი ათასი) ლარით.
2. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 21 მაისამდე.
3. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, გორის „ჯიქი“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/